ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში
ბრიუსელი 25 მარტი, 2015

ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოს,ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის და რეგიონთა კომიტეტის ერთობლივი კომუნიკაცია

2014 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ

1. შესავალი

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მისი შემოღებისთანავე – 2004 წელს – ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. სამეზობლო პოლიტიკა მთელი სამეზობლოსთვის მნიშვნელოვან ისეთ სტრატეგიულ საკითხებს შეეხება, როგორიცაა უსაფრთხოება, სტაბილურობა, მართლმსაჯულება, თავისუფლება და კეთილღეობა. ის მიზნად ისახავს მდგრადი, მოქნილი ეკონომიკისა და თავისუფალი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივად სასარგებლო ინტეგრაციასა და თანამშრომლობაზე დამყარებული გრძელვადიანი ჩართულობის პოლიტიკაა.

თუმცა, სამეზობლოში მიმდინარე მრავალი კრიზისისა და მზარდი გამოწვევების ფონზე, აუცილებელი გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და მასში გამოყენებული მიდგომის ადაპტირება. გაისმა მოწოდებები, რომ სამეზობლო პოლიტიკის მექანიზმები უნდა გადახალისდეს იმისთვის, რომ ევროკავშირმა უკეთ შეძლოს პარტნიორთა სხვადასხვა მოლოდინზე რეაგირებადა უფრო სწრაფად უპასუხოს ცვალებად სამეზობლოსა და მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს.

2014 წელი ევროკავშირის სამეზობლოში დიდი გამოწვევებით აღინიშნა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა და აღმოსავლეთ პარტნიორებზე რუსეთის მზარდმა ზეწოლამ ევროპის პოლიტიკური რეალიები წინა პლანზე წამოსწია. ასადის რეჟიმისა და დაეშის გამო მილიონობით ადამიანმა იძულებით დატოვა სირია და მისი სამეზობლო და დღეს გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს. დაეშმა, ჯაბრათ ალ ნუსრამ და რეგიონში მოქმედმა სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს და ფეხ–ქვეშ გათელეს ადამიანის უფლებები. ღაზაში განახლებულმა ძალადობამ დაანგრია ადამიანთა საცხოვრისი და გაანადგურა ისედაც მყიფე ინფრასტრუქტურა. ლიბიის სახელმწიფოებრიობა კვლავ რისკის ქვეშაა. გამართული საჯარო ადმინისტაციის არარსებობამ, ძალადობის ზრდამ და ქვეყანაში უკონტროლოდ შემომავალმა და გამავალმა მიგრაციულმა ნაკადებმა ნოყიერი საფუძველი შეუქმნეს კრიმინალურ ქსელებს, რომლებიც ევროპაში ადამიანთა უკანონო მიგრაციითა ტრეფიკინგით არიან დაკავებულნი. გასული წლის განმავლობაში სამეზობლოში იზრდებოდა სიღარიბე, რომელმაც მოიცვა ბავშვები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.

2014 წელს დადებითი ძვრებიც განხორციელდა. მათ შორისაა საქართველოსთან, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინასთან ასოცირების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა. შეთანხმებების ეს ახალი ტიპი მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცის შექმნას და საფუძველს უყრის ყველაზე უფრო გამორჩეული, ამბიციური სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩამოყალიბებას სამეზობლოს პარტნიორებთან. ასევე, განმტკიცდა ურთიერთობები მაროკოსა და ტუნისტთან. ეს ურთიერთობები სრულად ასახავს ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების სიღრმესა და მასშტაბს. განსაკუთრებულად პოზიტიური იყო დემოკრატიული გარდაქმები ტუნისში. მიგრაციასა

და მობილურობასთან დაკავშირებით, მოლდოვის რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა ვიზის ლიბერალიზების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პირობა და შედეგად საშუალება მისცა მოლდოვის მოქალაქეებს,2014 წლის გაზაფხულიდან ესარგებლად შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლით. 2014 წელს ტუნისმა და იორდანიამაც მოაწერეს ხელი ევროკავშირთან ,,პარტნიორობა მობილურობისთვის" პროგრამას.

2014 წლის განმავლობაში ევროკავშირი ინტენსიურად თანამშრომლობდა პარტნიორებთან. ამ პროცესში ძირითად როლი ეკისრებოდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტებს. ევროპის სამეზობლოს ახალი ინსტრუმენტი, რომელიც 2014 წელს იქნა შემოღებული, 2014–2020 წლების განმავლობაში 15.4 მილიარდი ევროს დახმარების გაწევას ითვალისწინებს. ფინანსური დახმარება ბევრად უფრო მიზნობრივია, ვიდრე ადრე; საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი ევროკავშირიდან დახმარების მომზადებაში, მის განხორციელებასა და მონიტორინგში.

წინამდებარე ერთობლივ კომუნიკაციაში, რომელიც თან ერთვის თითოეული ქვეყნის შესახებ ანგარიშს, განხილულია ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის შეთანხმებული, რეფორმით გათვალისწინებული მიზნები და ის კონკრეტული გამოწვევები, რომელიც 2014 წელს არსებობდა.

სამეზობლოში არსებული ცვალებადი სიტუაციის გათვალიწინებით, ასევე სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პარტნიორების ევროკავშირთან ურთიერთობაში არსებულმა სხვადასხვა მოლოდინმა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მხრიდან ცვლილებებზე რეაგირების სირთულემ განაპირობა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის/ევროკომისიის ვიცე პრეზიდენტის მიერ 2015 წლის 4 მარტს **ერთიანი საკონსულტაციო დოკუმენტის შემუშავება**, რომლის საფუძველზეც დაიწყო ოფიციალური კონსულტაციების პროცესი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განახლების მიზნით. ევროკავშირის ყოველწლიური ანგარიშების ფორმატის გადახალისებაც ამ პროცესის ნაწილია.

2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2014 წლის განმავლობაში

დემოკრატიზება და უფრო ფართომასშტაბიანი გარდაქმნა (ტრანზიცია) პირველ რიგში თვით ქვეყნის შიგნით წარმოებული პროცესებია. გარდაქმნის წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული – პოლიტიკური ნება და კანონის უზენაესობის დახვეწა, ეკონომიკური ფაქტორები თუ განათლება, უკეთესი სოციალური თანასწორობა თუ ადამიანების წახალისება, რომ უფრო აქტიური მოქალაქეები გახდნენ. ამისათვის საჭიროა ძირითად პოლიტიკურ საქმიანობაზე ფართო ეროვნული კონსენსუსი. სწორედ ამიტომ უჭერს მხარს ევროკავშირი პოზიტიური პოლიტიკური ძვრების ავანგარდში მყოფ ძალებს სამეზობლოში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ნაწილია ევროკავშირის იმ ძალისხმევისა, რომელიც ქვეყნის წარმატებულ გარდაქმნაზეა მიმართული, თუმცა ქვეყნის ისტორიული და საზოგადოებრივი განვითარებს სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. აღმოსავლეთის და სამხრეთის პარტნიორი ქვეყნები რეფორმების პროცესში სხვადასხვა გამოწვევებისა თუ შესაძლებლობების წინაშე დგანან. პრაქტიკამ აჩვენა, რომ გარდაქმნა, რომელშიც მოსახლეობის ფართო ფენები არ მონაწილეობენ და რომელსაც ახასიათებს მიდგომა ,,გამარჯვებული ყველაფერს ეპატრონება", არ არის მდგრადი და ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში სრული სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას. გარდაქმნის წარმატებით განხორციელება მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკონომიკურ მოთამაშეებს შორის მიმდინარე დემოკრატიზაციაზე მიმართული ძალისხმევის პროცეში.

პოზიტიკური პოლიტიკური ცვლილებების ეს მახასიათებელი აღმოსავლეთ და სამხრეთ პარტნიორებისთვის (სადაც ეს გარდაქმნა მიმდინარეობს) საერთოა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა 2014 წელსაც განაგრძობდა შესაბამისი ღონისძიებების მხარდაჭერას.

2.1. დემოკარიტია და კარგი მმართველობა

ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს დემოკრატიასა და კარგ მმართველობას სამეზობლოში. ევროკავშირი დარწმუნებულია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს თემებზე მუშაობა საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაწილია, თუმცა სამეზობლოში არსებული სურათი დემოკრატიისა და კარგი მმართველობის სფეროში საკმაოდ ბევრ ნიუანსს შეიცავს.

ტუნისის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყანამ დაგვანახა, რომ ინკლუზიური და ქვეყნის წიაღში ინიცირებული **დემოკარტიული გარდაქმნა** სამხრეთ სამეზობლოში შესაძლებელია,განსაკუთრებით იმ პოზიტიური ნაბიჯების საშუალებით, როგორიცაა საკანონმდებლო და საპრეზიდენტო არჩევნები და ახალი კონსტიტუციის მიღება.

ამ ნაბიჯებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ძირითადი უფლებების დაცვისა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებისთვის. მაროკოში გრძელდება დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესი, რაც გამოიხატა წინსვლით მართლმსაჯულების, რეგიონალიზაციისა და მედიის სფეროების რეფორმირების გაგრძელებით. დემოკრატიზაციის პროცესი მოლოვის რესპუბლიკასა და საქართველოშიც სტაბილურად მიმდინარეობდა. მოლდოვის რესპუბლიკაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის (ODIHR) მიერ ძირითადად თავისუფლად და სამართლიანად იქნა მიჩნეული, თუმცა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მოხსნამ გარკვეული შეკითხვები გააჩინა. მოლდოვის რესპუბლიკამ შემდგომ წინსვლას მიაღწია ევროპული დღის წესრიგის მიმართულებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. საქართველოში გაგრძელდა დემოკრატიზების პროცესი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

ვაჭრობის სივრცის მიმართულებითაც. 2014 წლის ივნისსა და ივლისში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები ზოგადად საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ჩატარდა.

ევროკავშირმა უკრაინას 2014–2020 წლებისთვის უპრეცენდენტო ფინანსური პაკეტი – 11 მილიარდი ევრო – გამოუყო. შეზღუდვები დაუწესდათ იმ ადამიანებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ კრიზისზე ან მხილებულნი იყვნენ სახელმწიფო ქონების მითვისებასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევაში. შემოღებულ იქნა ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტები. თუმცა, პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას აფერხებდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე სამხედრო კრიზისი და რუსეთი ფედერაციის მიერ ყირიმისა და სევასტოპოლის ანექსია; რუსეთისა დე ფაქტო ადგილობრივი ხელისუფლების წყალობით 2014 წლის თებერვლიდან მნიშვნელოვნად გაუარესდა ადამიანის უფლებების დაცვა. ყირიმსა და სევასტოპოლში მცხოვრები უკრაინის მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ რუსეთის მოქალაქეები გამხდარიყნენ. უარის შემთხვევაში ისინი უცხოელ მოქალაქეებად იქნებოდნენ მიჩნეულნი. გაიზარდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ყირიმის იმ მოსახლეობის დაშინება და დევნა, ვინც რუსეთის მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდა. ეს დაშინება და დევნა ძირითადად ყირიმელი თათრებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. მედია თავისუფლად ვერ მოქმედებდა. ასეთივე მოვლენები განხორციელდა აღმოსავლეთ უკრაინაში და კიდევ უფრო გააღრმავა ის უკიდურესი ჰუმანიტარული სიტუაცია, რომელიც კონფლიქტით იყო გამოწვეული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთა რიცხვი გაზარდა.

ამ მოვლენებმა ნეგატიური გავლენა იქონია რეფორმების პროცესსზე უკრაინაში. საკონსტიტუციო რეფორმა შეფერხდა, ხოლო ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის შეფასებით საკონსტიტუციო რეფორმის პროექტი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ნელი ტემპით წარიმართა. ეროვნული რეფორმების ერთიანი პროგრამა ნელა და ფრაგმენტულად ხორციელდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ახალი მთავრობა აშკარად რეფორმებზე ორიენტირებული იყო. უახლოეს მომავალში შედეგების მისაღწევად აუცილებელია სწრაფი და მდგრადი ნაბიჯების გადადგმა, მომდევნო წლებში ჩასატარებელი რეფორმებისთვის სტიმულის მიცემა და ასოცირების /ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელება. ევროკავშირმა შექმნა უკრაინის დახმარების ჯგუფი, რომელიც ქვეყანას რეფორმირების პროგრამის განხორციელებაში ეხმარება.

გარკვეული დემოკრატიული სტაგნაციით ხასიათდებოდა სამეზობლოს სხვა რეგიონებიც. ინტენსიური კონტროლის შედეგად ეგვიპტეში შევიწროვდა ზოგადი სადისკუსიო სივრცე, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარი ორგანიზაციებისთვის. გასული წლის განმავლობაში აზერბაიჯანში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების გარემო გაუარესდა; საზოგადოებრივი სივრცე დისკუსიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სისტემატიურად იზღუდებოდა. ბელარუსში ადამიანის უფლებების,

კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის თვალსაზრისით სიტუაცია არ გაუმჯობესებულა.

ისრაელსა და პალესტინაში[1] მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რეგიონში არსებულმა სიტუაციამ, გაუარესებულმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ და ღაზაში მიმდინარე ძალის გამოყენებამ. ისრაელის სახელმწიფო დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს ემყარება. მიუხედავად ამისა, 2014 წელს შეშფოთება იქნა გამოთქმული უმცირესობების – ბედუინების ჩათვლით – უფლებების დაცვის თვალსაზრისით. პალესტინაში მიღებული უნდა იქნას ძირითადი კანონმდებლობლობა დემოკრატიული სტრუქტურების შესახებ; მართლმსაჯულების ინსტიტუტების პასუხისმგებლობების განმსაზღვრელი კანონმდებლობა ჯერ კიდევ მისაღებია. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები მოსაგვარებელია, განსაკუთრებით სიკვდილის დასჯასთან მიმართებაში; ღაზას დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მისი გამოყენება კვლავაც გრძელდება. სიკვდილით დასჯა განახლდა ეგვიპტესა და იორდანიაში მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყანაში მორატორიუმი მოქმედებდა.

მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულმაკონფლიქტებმა და ტერორიზმის მსგავსმა გარე ფაქტორებმა შეაფერხა ევროპის სამეზობლო პოლიტიკით გათვალისწინებული დღის წესრიგის განხორციელება. ლიბიაში არსებულმა სიტუაციამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც კი შეუქმნა საფრთხე. სირიაში მიმდინარე კრიზისი მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული კატასტროფაა. მეორეს მხრივ, ლიბანმა და იორდანიამ განსაკურთებული მდგრადობა გამოიჩინეს იმ სიტუაციაში, როდესაც ამ ქვეყნებში ლტოლვითა უზარმაზარი ნაკადი შემოვიდა და მათ სირიის კრიზისის შედეგად პოლიტიკური და უსაფრთხოების პრობლემები შეექმნათ; ამ ქვეყნებს დამატებითი სირთულეები შეექმნათ ისედაც მწირი ბუნებრივი რესურსების პირობებში. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ორივე ქვეყანამ წვლილი შეიტანა რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაში და ცდილობდა წარმატების მიღწევას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორცილებს საქმეში.

გარკვეული დადებითი ნაბიჯები გადაიდგა **არჩევნების** სფეროში. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ტუნისსა და უკრაინაში, საპრეზიდენტო არჩევნები ისრაელში და საპარლამენტო არჩევნები მოლდოვის რესპუბლიკაში კარგად იქნა ორგანიზებული და ჩატარებული. რაც შეეხება უკრაინას, არჩევნები ვერ ჩატარდა ყირიმსა და სევასტოპოლში; დონეცკისა და ლუგანსკის უმეტესი რეგიონები არალეგალური შეიარაღებული ჯგუფების კონტროლს იყო დაქვემდებარებული, რამაც ამ რეგიონებში არჩევნების ჩატარებას ხელი

[1] ეს გამონათქვამი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც პალესტინის სახელმწიფოს აღიარება და არ უქმნის საფრთხეს წევრი ქვეყნების ინდივიდუალური პოზიციას ამ საკითხზე.

შეუშალა. ადგილობრივი არჩევნები, რომელიც ამ რეგიონებში დე ფაქტო ხელისუფლებებმა ჩაატარეს, უკანონო და არალეგიტიმურია, შესაბამისად ევროკავშირი მათ არ აღიარებს. ევროკავშირმა დადებითად აღიქვა ზოგადად მშვიდობიანი და კანონის დაცვით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ეგვიპტეში, თუმცა იყო გარკვეული ხარვეზები საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, როდესაც განსხვავებული აზრის გამოთქმა და დისკუსიები ძალზე გართულებული იყო.

გამოხატვის თავისუფლების, პრესისა და მედიის თავისუფლების, შეკრების თავისუფლების, რელიგიისა და **მრწამსის თავისუფლების თვალსაზრისით, ასევე უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფების უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის** თვალსაზრისით მოვლენები სხვადასხვანაირად ვითარდებოდა. ტუნისში, ლიბანში, მაროკოში და მოლდოვის რესპუბლიკაში შემოღებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობა, თუმცა არავითარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიღებულა აზერბაიჯანში, ბელარუსში, ეგვიპტეში და პალესტინაში.

პარტნიორობის ქვეყნების უმეტეს ნაწილში **ქალებისა და ბავშვების უფლებები** კვლავ პრობლემურ საკითხაად რჩებოდა. ბავშვთა შრომა, ბავშვების ჯარში გაწვევა და ტერორიზმისთვის ბავშვების გამოყენება, ასევე არასრულწლოვანთა ქორწინება და არასათანადო მოპყრობა ბავშვთა მარლმსაჯულების სისტემაში კვალვაც ღრმა შეშფოთების საგნად რჩებოდა მთელი რეგიონის მასშტაბით. ტუნისის ახალი კონსტიტუციის მიხედვით ქალებს მიენიჭათ თანაბარი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები, დისკრიმინაციის და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ზომებთან ერთად.

ტუნისში, მაროკოში, ლიბანსა და იორდანიაში მარლმსაჯულების რეფორმირების სფეროში დამაიმედებელი ტენდენცია გამოიკვეთა და გაიზარდა ამ სექტორის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა. ტუნისის კონსტიტუციამ ბევრ ფუნდამენტურ უფლებას ჩაუყარა საფუძველი. ის მართლმსაჯულების სფეროს წინასვლის შესაძლებლობას მისცემს. მართლმსაჯულების რეფორმირების სტრატეგიული დოკუმენტი მაისში იქნა მიღებული, ხოლო 2015–2019 წლების სამოქმედო გეგმის გარშემო დისკუსიები კვლავაც მიმდინარეობს. უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონი ,,სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენის შესახებ.“ მოლდოვის რესპუბლიკამ მიიღო კანონები მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირების შესახებ.ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების სფეროს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით აზერბაიჯანსა და ეგვიპტეში.

პარტნიორ ქვეყნებში **პენიტენციურ სისტემასა** და იქ არსებულ პირობებთან დაკავშირებული აქტივობები არასისტემატური და რაოდენობრივად შეზღუდული იყო. ზოგიერთ ქვეყანაში გრძელდებოდა **წამება და არასათანადო მოპყრობა** და ხშირ შემთხვევაში ეს დაკავების ცუდ პირობებსა და პენიტენციური სისტემის ხარვეზებთან იყო დაკავშირებული. გარკვეული გაუმჯობესება მოხდა იორდანიასა და ტუნისში,

მაგალითისათვის, ტუნისში ჩამოყალიბდა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი. მნიშვნელოვანი ძალისხმევა განხორციელდა მოლდოვას რესპუბლიკაში, სადაც გაიხსნა ახალი პენიტენციური დაწესებულებები და მოხდა არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობის რეფორმირება.

სამოქალაქო საზოგადოებასა და **სოციალურ პარტნიორობას** გარდამავალ ეტაპზე და რეფორმების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარი ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ პარლამენტის, მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისთვის ადამიანის უფლებების საკითხებში რჩევების მიცემისა და ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხებში. ამ ორგანიზაციებს ხშირად კარგი კავშირები აქვთ საერთაშორისო ასპარეზზე, რაც აადვილებს გამოცდილების გაზიარებასა და პოზიტიური მაგალითების გადმოღებას. რეგიონში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების თვალსაზრისით 2014 წელს ნეგატიური ტენდენცია გამოიკვეთა. ზოგიერთმა ქვეყანამ ისეთი კანონები მიიღო და ძვირადღირებული ადმინისტრაციული ზომები განახორციელა, რომელიც ზღუდავდა მათ საქმიანობას, მაგალითად, შემოიღო მაღალი გადასახადები, რამაც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია აიძულა, შეეწყვიტა საქმიანობა. აზერბაიჯანსა და ეგვიპტეში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზე ამ გარემოებებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს. სამოქალაქო საზოგადოება სწრაფ ტემპში და პოზიტიურის მიმართულებით ვითარდებოდა უკრაინასა და ტუნისში. ზოგადად მოლდოვას რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოება თავისუფლად ვითარდებოდა, თუმცა საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები მოქმედებდადნესტრისპირეთში. სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქოდათ, ემოქმედათ დასავლეთ სანაპიროზე, თუმცა უფრო მეტი იყო შეზღუდვები, ვიდრე ღაზაში, სადაც მათი მუშაობაა გართულებული იყო. 2014 წლის განმავლობაში მუშაობა გაგრძელდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიზნით შემუშავებულ **ევროკავშირის საგზაო რუკებზე.** ამ რუკებში ასახულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიული ჩარჩო სამეზობლოს თითოეულ ქვეყანაში. ევროკავშირის წარმომადგენლობები სათავეში ჩაუდგნენ საგზაო რუკების შემუშავების პროცესს და მუშაობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებებთან დიალოგისა და გრძელვადიანი ამოცანების განსაზღვრის მხარდასაჭერად. 2014 წლის ბოლოსთვის ამ საგზაო რუკების უმეტესობა პარტნიორი ქვეყნების უმეტეს ნაწილში მიღებულ იქნა.

2.2. პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა

წარმატებულ გარდაქმნას საზოგადოების უსაფრთხოება და ეკონომიკის განვითარება სჭირდება. თუმცა, 2014 წელს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები სამეზობლოში საგრძნობლად გაიზარდა. დაეშის ტიპის ტერორისტული ჯგუფებისგან მომავალმა საფრთხემ, გრძელვადიანმა კონფლიქტებმა, ორგანიზებულმა დანაშაულმადა კრიზისებმა, რომელიც საზღვრების ძალადობრივ გადანაწილებას მოჰყვა, ჩრდილი

მიაყენა ევროპის სამეზობლოს. ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ წაახალისა მოუწესრიგებელი მიგრაციული ნაკადები და უსაფრთხოების გამოწვევები, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ევროკავშირზე.

მიუხედავად ამ უარყოფითი მოვლენებისა, ევროკავშირი ცდილობდა სამეზობლოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამკვიდრებაზე ზრუნვას. ევროკავშირი დაეხმარა პარტნიორების პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ გამოწვევებს რიგი ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით, როგორიცაა დიალოგები პოლიტიკური და ადამიანის უფლებების სფეროებში, CSDP მისიები და ფინანსური დახმარებები, რომლის მთავარი მიზანი კანონის უზენაესობის განმტკიცება და მართლმსაჯულების რეფორმირებაა. დღეისათვის ევროკავშირი სამეზობლოში რამდენიმე მისიითაა წარმოდგენილი, კერძოდ, მონიტორინგის მისიით საქართველოში (EUMM Georgia), პოლიციური მისიით პალესტინაში (EUPOL COPPS), საზღვრის დაცვის მისიით მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში[2] (EUBAM), ლიბიაში (EUBAM ლიბია[3]), რაფას (ღაზა) სასაზღვრო ხაზი (EUBAM რაფა) და ევროკავშირის მრჩეველთა მისია სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისთვის უკრაინაში (EUAM უკრაინა).

აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებულ სიტუაციაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა უკრაინაში არსებულმა სიტუაციამ. ევროკავშირმა მკაცრად დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმისა და სევასტოპოლის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში სიტუაციის დესტაბილიაცია, რამაც მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული გავლენა მოახდინა მშვიდობიან მოსახლეობაზე. ევროკავშირმა მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას სიტუაციის დეესკალაციის მიზნით, ხელი შეეშალა მისი ტერიტორიიდან სამხედრო ტექნიკის გადაადგილებისთვის, იარაღისა და მებრძოლების უკრაინის ტერიტორიაზე შესვლისა და სეპარატისტებსა და უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებზე თავისი გავლენის გაძლიერებისთვის. ამ მიზნით ევროკავშირმა მხარი დაუჭირა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, ეუთო–ს მუშაობას. 2014 წელს აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კრიზისის აღმოფხვრის მიმართულებით გაწეულ ძალისხმევაზე დამატებით ევროკავშირმა მოუწოდა ყველა მხარეს, პოზიტიური შედეგები გამოიტანოს 2015 წლის 12 თებერვალს მინსკში მიღწეული შეთანხმებიდან და სრულად შეასრულოს მისი დებულებები.

დიპლომატიური ჩართულობის პარალელურად და სამოქალაქო მრჩეველთა მისიის საშუალებით (EUAM უკრაინა) ევროკავშირი დაეხმარა უკრაინას **უსაფრთხოების სფეროს**

[2] ეს არ არის CSDP მისია.

[3] 2014 წლის ივლისში ლიბიაში პოლიტიკური და უსაფრთხოების სიტუაციის გაუარესებამ გამოიწვია მისიის დისლოკაციის ადგილის შეცვლა და მისი ტუნისში გადაყვანა. უახლოეს მომავალში ევროკავშირის წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ, თუ როგორი იქნება მისიის სტრატეგია და მისი დისლოკაცია.

რეფორმირების გზაზე. მისია სტრატეგიულ რჩევებს გაუწევს უკრაინას ეფექტიანი,მდგრადი და ანგარიშვალდებული უსაფრთხოების სამსახურების განვითარებაში, რაც უკრაინაში კანონის უზენაესობის განმტკიცებას დაეხმარება.

სამეზობლოს უმეტეს ნაწილში კვლავაც მძვინვარებდა **შეიარაღებული კონფლიქტები და კრიზისები**. აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირი აგრძელებდა ნდობის განმტკიცების ღონისძიებებს მთიან ყარაბახში. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის რეგიონთან ,,მეკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერამ საფრთხე შეუქმნა სეპარატისტული რეგიონების მიმართ საქართველოს ჩართულობის პოლიტიკას. დნესტრისპირეთში სიტუაციის პოლიტიკურ მოგვარებას ხელი შეუშალა მეტი ავტონომიის შესახებ ტირასპოლის განმეორებითმა მოთხოვნამ, მიუხედავად ტერიტორიული რეინტეგრაციის შესახებ გაკეთებული მოწოდებებისა ეუთოს ‘5+2’ პროცესის კონტექსტში[4].

5 2015 წლის თებერვალში მიღებულ იქნა სირია–ერაყისა და დაეშის საფრთხის შესახებ ერთობლივი კომუნიკაცია. ის სთავაზობს კრიზისზე რეაგირების სტრატეგიას და მოიცავს პოლიტიკური და პრაქტიკული ღონისძიებების ნაზავს, მათ შორის დიპლომატიურ ჩართულობას, რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამას,ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასა და საზღვრების უკეთეს კონტროლს.

სირიაში არსებული სიტუაცია არასტაბილურობის წყაროდ რჩება სამხრეთ სამეზობლოში, რაც მძიმე გავლენას ახდენს სამეზობლოს ქვეყნებზე, განსაკუთრებით იორდანიასა და ლიბანზე. ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა თითქმის 3 მილიარდი ევროს დახმარების მობილიზება მოახდინეს იმ ადამიანებისთვის, ვინც სირიასა და მის სამეზობლოში დაზარალდა. ეს ევროკავშირის მიერ გაღებული ყველაზე დიდი ჰუმანიტარული დახმარებაა. ეს არის ფართომასშტაბიანი რეაგირება მთელი რეგიონის გამოწვევებზე, რომელიც მოიცავს ჰუმანიტარულ დახმარებას, სტრუქტურულ დახმარებას და სხვა სახის დახმარებას იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები შეიფარეს.

უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სიტუაციის გაუარესებამ ლიბიაში გავლენა იქნია მის უშუალო სამეზობლოზე და გამოიწვია არალეგალური მიგრაციული ნაკადები, რაც ახალი საერთაშორისო გამოწვევაა. ღაზას სექტორში განახლებულმა ძალადობამ საფრთხე შეუქმნა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას და გაანადგურა ისედაც მყიფე ინფრასტრუქტურა და მწირი ბუნებრივი რესურსები, რამაც საფრთხე შეუქმნა რეგიონის საერთო სტაბილურობას.

რეგიონი კვალაც განიცდის **ტერორიზმის საფრთხეს,** მათ შორისაა ტერორისტული ჯგუფების დაეშის, ჯაბრათ ალ–ნუსრასა და სხვა ტერორისტული ჯგუფების მიერ

[4] 2014 წლის 5 დეკემბერს მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება დნესტრისპირეთის კონფლიქტის 5+2’ -ის ფორმატში მოგვარების შესახებ.

გამოჩენილი სისასტიკე და ადამიანის უფლებების დარღვევა. რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ევროკავშირი მუშაობს ამ საკითხებზე.

პოზიტიური მოვლენაა ის, რომ საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა განაგრძობდნენ მონაწილეობას ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის (CSDP) მისიებში (EUTM მისია მალიში, EUNAVFOR ატლანტა და EUFOR RCA ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში). ეს ჩართულობა აჩვენებს, რომ პარტნიორებს გაცნობირებული აქვთ რეგიონული უსაფრთხოების საქმეში წვლილის შეტანის აუცილებლობა. ევროკავშირი განიხილავს, თუ როგორ უნდა აისახოს CSDP მისიებში სამზობლოს ქვეყნების ესოდენ მნიშვნელოვანი ჩართულობა სამომავლო ურთიერთობებზე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონტექტსში.

სამეზობლოში **უსაფრთხოების სფეროს რეფორმირების** მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებში ანგარიშვალდებული უსაფრთხოების სამსახურების შექმნას, რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიულ კონტროლსა და კანონის უზენაესობას. ევროკავშირი ხელს უწყობს ამ სამსახურების პოტენციალის გაზრდას, მათ ინსტიტუციურ მშენებლობას, მომზადებას, საკონსულტაციო მომსახურებას და საზღვრის მართვის განმტკიცებას. 2014 წელს იორდანიის უსაფრთხოების სამსახურის რეფორმირების ფარგლებში ევროკავშირმა მხარი დაუჭირა სამოქალაქო თანამშრომლობას იორდანიაში, პალესტინასა და ტუნისში. უკრაინაში ევროკავშირმა გახსნა სამოქალაქო საკონსულტაციო მისია (EUAM უკრაინა), რომლის მიზანი იყო სტრატეგიული რჩევების გაწევა, ეფექტიანი,მდგრადი და ანგარიშვალდებული უსაფრთხოების სამსახურების ჩამოყალიბება, რომელიც წვლილს შეიტანს უკრაინაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში. ლიბანსა და მოლდოვის რესპუბლიკაში, ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებდა სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების მართვის უნარზე, გაუმკლავდეს პარტნიორი ქვეყნების ტრანსსასაზღვრო გამოწვევებს. ეს ამოცანა ბევრად უფრო რთულად განსახორციელებელი იყო ლიბიაში.

გლობალური ტენდენციებისა და იმ საფრთხის ფონზე, რომელიც სამეზობლოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობას ემუქრება, ევროკავშირის აქტივობებს მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება. გამოწვევებთან გამკლავების გრძელვადიანი და მდგრადი საშუალება (CSDP -ს ფარგლებში მიმდინარე ძალისხმევისა და სხვა ფორმატებთან ერთად) შეიძლება იყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კომპონენტების განმტკიცება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. ევროკავშირი დაინტერესებულია სამეზობლოს ქვეყნების გაძლიერებასა და მათთვის დახმარების გაწევაში, რომ ისინი კრიზისებისადმი უფრო მდგრადნი გახდნენ. ევროკავშირი დაინეტერესებულია ასევე, რეგიონის უსაფრხოების განმტკიცებასა და ადამიანების და მათი ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დაცვაში.

2.3. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია

ევროკავშირი ევროპის სამეზობლოს პარტნიორი ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორია. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით ამ ქვეყნების ძალისხმევა ადასტურებს, რომ ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური მოდელი ზოგიერთი პარტნიორისთვის მიმზიდველია.

2014 წელს საქართველოსთან, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინასთან ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებებს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. ასოცირების შეთანხმებები, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი მიღწევაა. ამ შეთანხმებების ხელმოწერა უდიდესი მიღწევაა ევროკავშირის უახლოეს პარტნიორებთან ურთიერთობებში და მათთან ურთიერთობების უფრო მაღალ საფეხურზე გადაყვანას გულისხმობს. მოსალოდნელია, რომ ასოცირების შეთანხმებები დადებით გავლენას მოახდენენ პარტნიორ ქვეყნებში დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაზე, შექმნიან კეთილდღეობას და ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას უფრო მდგრადსა და მოქნილს გახდიან.

ასოცირების შეთანხმების ძირითადი ნაწილის წინასწარი განხორციელება საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკაში 2014 წლის 1 სექტემბერს დაიწყო. ამ ქვეყნებმა დაიწყეს შეთანხმებების განხორციელება. გაუქმდა ან შემცირდა საიმპორტო მოსაკრებელი და თანდათანობით დაიწყო ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) მათი კანონმდებლობის დაახლოების პროცესი.

რაც შეეხება უკრაინას, 2014 წელს გაუმჯობესდა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები, რადგანაც ვაჭრობის შემაფერხებელი ადრინდელი ფაქტორები გაუქმდა ან აღმოიფხვრა. თუმცა, უკრაინის ხელისუფლებამ რეაგირება მოახდინა კრიტიკულ მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე და მიიღო ახალი სავაჭრო შეზღუდვები და სხვა ზომები, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებისა და ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკს შეიცავდა. 2014 წლის აპრილში მიღებულმა ვაჭრობის ავტონომიურმა ზომებმა (ATMs) გააუქმა ევროკავშირში დღეს არსებული უკრაინიდან იმპორტირებულ საწარმოო საქონელზე მოქმედი ტარიფების 94.7 %; ასევე შემცირდა ყველა ტარიფი უკრაინიდან ევროკავშირში იმპორტირებულ სასოფლო–სამეურნეო საქონელზე. შემცირდა ტარიფები უკრაინაში წარმოებული ქიმიური პროდუქციის ზოგიერთ სახეობაზე. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის წინასწარი გამოყენების 2016 წლის 1 იანვრამდე გადავადების შესახებ, ვაჭრობის ავტონომიური ზომების ვადამაც იგივე თარიღამდე გადაიწია. უკრაინის ხელისუფლება ემზადება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელებისა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის განმავლობაში ევროკავშირი სომხეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი იყო, 2014 წლის 10 ოქტომბერს სომხეთმა, რუსეთმა, ყაზახეთმა და ბელარუსმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც 2015 წლიდან სომხეთის

ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში შესვლას ითვალისწინებდა. ევროკავშირი პატივს სცემს სუვერენული ქვეყნების მიერ მიღებულ გადაწყეტილებებს. სომხეთი განაგრძობდა ევროკავშირის პრეფერენციული ტარიფებით სარგებლობას (GSP+); 2014 წლის ნოემბერში დაიწყო წინასწარი მოლაპარაკებები შესაძლო ახალ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ევროკავშირსა და სომხეთს შორის.

სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინტენსიური დისკუსიები მიმდინარეობდა სამხრეთის პარტნიორებთანაც. გაგრძელდა მარეგულირებელი რეფორმები, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკურ განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნის, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მიღწევის მიზნით. გაჩნდა უფრო ინტენსიური რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობები. ევროკავშირი მზადაა, ხელი შეუწყოს ამ ძალისხმევას, თუკი პარტნიორები მზად იქნებიან.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მაროკოსთან. დასრულდა მოლაპარაკებები გეოგრაფიული დასახელებების შესახებ შეთანხმებაზე. ევროკავშირის ფინანსური დახმარება გაეწია მაროკოს თევზჭერის სექტორს, რამაც პირდაპირი და ხელშესახები სარგებელი მოუტანა ეკონომიკურ აქტორებს. ამასთან, ,,თევზჭერის სფეროში პარტნიორობის შესახებ“ 2014–2018 წლების შეთანხმების ოქმის ფარგლებში დაიწყო თევზჭერის სექტორში პირველი აქტივობების განხორციელება. ნაბიჯები გადაიდგა ტუნისთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების მოსამზადებელ პროცესში; კონსულტაციები ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან და დადგინდა, რომ არ არსებობს ტექნიკური ბარიერები მოლაპარაკებების პროცესის დასაწყებად. იორდანიასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებები გაგრძელდა და ჩატარდა ეგვიპტესა და იორდანიასთან შესაძლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შედეგების მდგრადობის შეფასება.

ევროკავშირთან ეკონომიკურიინტეგრაცია უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ვაჭრობა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირს თავის მეზობლებთან **ტრანსპორტისა და ენერგეტიკული** ქსელებით აკავშირებს; ამ პროცესს თან ახლავს სავაჭრო ნაკადების ზრდა. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, ასევე თვით პარტნიორ ქვეყნებს შორის ეფექტიანი კავშირების დამყარებისა და შენარჩუნებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მარლეგულირებელი სფეროს დაახლოება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.

ზოგადად 2014 წლის საერთო სურათი ორივე სფეროში საკმაოდ შერეულია. ზოგიერთმა ქვეყანამ განახორციელა **ტრანსპორტის** სექტორში ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან მარეგულირებელი სფეროს დაახლოება. ეს ქვეყნებია მაროკო, ტუნისი და უკრაინა. კონფლიქტების მიუხედავად ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, იორდანიამ, ლიბანმა და პალესტინამ) განაგრძობდა რეფორმებს ტრანსპორტის სფეროში.

რაც შეეხება **ენერგეტიკას**, სამეზობლოს ქვეყნების ევროკავშირის შიდა ენერგობაზარზე ინტეგრირება გრძელდებოდა. პოლიტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი გადაწყვეტილების წყალობით მოხდა განახლებადი ენერგეტიკის, კერძოდ მზის ენერგიის გამოყენების წახალისება მაროკოში. მესამე ქვეყნებიდან ენერგიის იმპორტის გამო უკრაინასა და მაროკოს შემაშფოთებელი მოცულობის ვალები დაუგროვდათ, განსაკუთრებით გაზისა და ნავთობპროდუქტების მოხმარების გამო. ევროკომისიამ შუამავლობა გაუწია 2014 წლის 30 ოქტომბრის სამმხრივი შეთანხმების მიღწევას უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის, რაც დიდ მიღწევად ჩაითვალა. ამასთან, თანდათან მიმდინარეობდა უკრაინის ენერგობაზრის ევროკავშირის ბაზართან ინტეგრირების პროცესი.

სხვა პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ღონისძიებსა და პროექტებთან მიმართებაში. 2014 წლის 20 სექტემბერს გაიხსნა სამხრეთის გაზის კორიდორი აზერბაიჯანიდან სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპაში 2020 წლიდან აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირების მიზნით. 2014 წლის 27 აგვისტოს გაიხსნა იასი–უნგენის გაზის ტრანსპორტირების მილი რუმინეთსა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის. ამ პროექტზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს ევროკავშირის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და რუმინეთის მხარდაჭერისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

ბირთვული უსაფრთხოების სფეროში სამეზობლოს ქვეყნებთან თანამშრომლობა გაგრძელდა და საგრძნობი შედეგებიც მოიტანა. ევროკომისიასთან თანამშრომლობით განხორციელებული სტრეს–ტესტების შედეგად უკრაინამ გადაახალისა თავისი ეროვნული სამოქმედო გეგმა. კომისიამ ასევე მიიღო სომხეთის მეძამორის ბირთვული ელექტროსადგურის სტრეს–ტესტის შესახებ ანგარიში მისი განხილვის მიზნით. ამ ღონისძიებებს საფუძვლად უდევს ევროკავშირის ამოცანები ბირთვული უსაფრხოების პოლიტიკის სფეროში, რაც გულისხმობს ბირთვული უსაფრთხოების სტანდარტებისა და უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას მთელს მსოფლიოში.

ელექტოქსელების დამაკავშირებელი რეგიონული პროექტები ეხმარება სამხრეთ კავკასიაში მეტი ურთიერთკავშირების დამყარებას სამეზობლოს ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. საქართველოსა და თურქეთს შორის კავშირის დამყარება დასრულდა, ხოლო სომხეთსა და საქართველოს შორის ელექტროკავშირის მშენებლობა ჯერ კიდევ დაგეგმვის პროცესშია.

2014 წელს ჩატარებულმა შეფასებამ და ტრენინგმა, რომელიც ეფუძნებოდა ,,მცირე ბიზნესის აქტს ევროპისთვის“ სამხრეთ სამეზობლოს მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებიდან ათასობით მონაწილის მობილიზება მოახდინა. ეს დაეხმარა პარტნიორ ქვეყნებს, მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან ჰარმონიზებასა და ეკონომიკური ინტეგრაციის განმტკიცებაში.

გარემოსდაცვით სფეროში თანამშრომლობა დაეხმარა პარტნიორ ქვეყნებს მათი მოქალაქეების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაში და ხელი შეუწყო ისეთი ძირითად გარემოსდაცვით მომსახურებას, როგორიცაა წყლის მიწოდება, ნახმარი წყლის გაწმენდა და მყარი ნარჩენების მართვა. გარემოსდაცვითი თანამშრომლობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების ერთ–ერთი საშუალება, კვლავაც გაგრძელდა.

2014 წლის განმავლობაში განვითარდა ერთიანი ცოდნისა და ინოვაციის სივრცე (CKIS), რომელიც აკავშირებდა ევროკავშირს და პარტნიორ ქვეყნებს პოლიტიკის შესახებ დიალოგისა და **კვლევისა და ინოვაციების** სფეროებში თანამშრომლობის გზით. 2014 წლის ბოლოს ისრაელმა და მოლდოვის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებებს ,,ჰორიზონტი 2020“ თვის, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში.

2.4. ადამიანებს შორის კონტაქტები, მიგრაცია და მობილურობა

დაცულ და კარგად მართულ გარემოში მობილურობის გაზრდა და ადამიანებს შორის მზარდი კონტაქტების საშუალებით ადამიანის, როგორც ძირითადი ფასეულობის განმტკიცება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია.

მობილურობა ხელს უწყობს სავაჭრო კავშირების დამყარებასა და ეკონომიკურ ზრდას, სტიმულს აძლევს კულტურულ და სოციალურ აქტივობებს და ხელს უწყობს ფუნდამენტური უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვას. ევროპის სამეზობლოს რეგიონსა და ევროკავშირს შორის მგზავრები და მიგრაციული ნაკადები გაიზარდა. 2014 წელს ლეგალური მიგრაციული ნაკადების გაზრდა აღინიშნა ძირითადად მაროკოდან და უკრაინიდან.

იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას საფუძველი წარმატებული გარდაქმნებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის, მათ უნდა მოახდინონ ინვესტირება მომავალ თაობებში. ამიტომ კარგი, გამართული და ეფექტიანი **განათლების** სისტემის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია საშუალო და გრძელვადიანი განვითარებისთვის. ზოგადად სამეზობლოს ქვეყნების განათლების სფეროში ევროკავშირთან თანამშროლობა გაიზარდა და იმ ქვეყნებშიც კი გაგრძელდა, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაზარალდნენ. დაიწყო და განხორციელდა რამდენიმე ტემპუსის (Tempus), ერაზმუს მუნდუსის Erasmus Mundus და eTwinning–ის პროექტი. სამეზობლოს რამდენიმე ქვეყანამ (აზერბაიჯანი, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა, ეგვიპტე, იორდანია და ტუნისი) 2014 წელს განახორციელეს რეფორმები, რომელთა მიზანი იყო განათლების ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონეზე. ზოგიერთმა ქვეყანამ შეიმუშავა **ახალგაზრდებზე** მორგებული საგანმანათლებლო ჩარჩო და საშუალებები, მაგალითად ,,უკრაინის 2016–2020 წლების ახალგაზრდობის სახელმწიფო პროგრამა.“

კულტურის სფეროს წვლილი შეაქვს პოლიტიკური რეფორმების და სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საკითხებში. ზოგიერთმა ქვეყანამ შეიმუშავა კულტურის

ეროვნული სტრატეგია. ასეთია, მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკის სტრატეგია ,,კულტურა 2020“.

სირიიდან მომავალი ლტოლვილთა ნაკადი საფრთხეს უქმნიდა იორდანიის და ლიბანის საგანმანათლებლო სისტემებს. 2014 წლის ბოლოსთვის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მიერ რეგისტრირებული იყო სირიიდან ლიბანში გადმოსული დაახლოებით 390 000 სასკოლო ასაკის (5–დან 17 წლამდე) სირიელი ბავშვი; ასევე დაახლობით 10 000 სასკოლო ასაკის პალესტინელი ლტოლვილი სირიიდან, რომელთაგან დაახლოებით 7000 განაწილდა გაეროს მაშველთა და სამუშაოების სააგენტოს მიერ გახსნილ სკოლებში პალეტინელი ლტოლვილებისთვის ახლო აღმოსავლეთში.

მიგრაციის და მობილურობის სფეროებში თანამშრომლობა იყო ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშროლობის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. **პარტნიორობა მობილურობისთვის** ამ სფეროში მიმდინარე დისკუსიების ძირითადი ელემენტი იყო. ,,ევროკავშირის მიგრაციის და მობილურობისადმი გლობალური მიდგომის“ თანახმად ეს პარტნიორობა მიზნად ისახავს თანამშროლობის განმტკიცებას პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში. 2014 წლის ბოლოს სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ, იორდანიამ, მოლდოვის რესპუბლიკამ, მაროკომ და ტუნისმა ევროკავშირთან ხელი მოაწერეს პროგრამას ,,პარტნიორობა მობილურობისთვის“. მოლაპარაკებები გრძელდებოდა ბელარუსთან ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებაზე. ევროკავშირსა და ლიბანს შორის დიალოგი მიგრაციის, მობილურობის და უსაფრთხოების შესახებ 2014 წლის დეკემბერში დაიწყო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთ ქვეყანასთან მუშაობა მიმდინარეობდა უვიზო მიმოსვლის პერსეპქტივაზე. მას შემდეგ, რაც წარმატებით დასრულდა დიალოგი ვიზების ლიბერალიზების შესახებ, 2014 წლის 28 აპრილს მოლდოვის მოქალაქეებმა მიიღეს ბიომეტრიული პასპორტის საფუძველზე შენგენის სივცეში უვიზოდ მიმოსვლის უფლება. სხვა პარტნიორებმაც, განსაკუთრებით საქართველომ და უკრაინამ, გააძლიერეს ძალისხმევა ასეთივე შედეგის მისაღწევად.

სამხრეთ სამეზობლოში მაროკომ უზრუნველყო **კანონიერი მიგრანტების** უკეთ ინტეგრირება. მაროკოს და ტუნისის მთავრობები მუშაობენ თავშესაფრის მისაღებად და ადამიანის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავებაზე. 2015 წლის იანვარში, ევროკავშირმა და მაროკომ დაიწყეს მოლაპარაკებები ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებებზე. ევროკავშირი მზადაა დაიწყოს ამ ტიპის მოლაპარაკებები ტუნისთან 2015 წელს მას შემდეგ, რაც 2014 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა მოლაპარაკებების შესახებ დირექტივები ორივე შეთანმხების თაობაზე.

მიუხადავად ამისა, გაგრძელდა **არარეგულარული მიგრაციული** ნაკადები იმ ზოგადი ტენდენციების საპასუხოდ, რომელიც სამხრეთ სამეზობლოში 2011 წლიდან მიმდინარეობს და პოლიტიკურ მოვლენებთანაა დაკავშირებული. 2014 წელს ევროკავშირში 227 000–ზე მეტი არარეგულარული მიგრანტი შევიდა. ასევე გაიზარდა ადამიანების ტრეფიკინგი.

2014 წლის განმავლობაში ხმელთაშუაზღვაში ტრაგიკულად დაღუპული ადამიანების რაოდენობამ დაგვანახა, რომ აუცილებელია კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება ევროკავშირსა და მის სამხრეთის პარტნიორ ქვეყნებს და მათ სამეზობლოს შორის. იმის გამო, რომ ევროპის სამეზობლოს ქვეყნები ძირითადად არალეგალური მიგრაციის სატრანზიტო ქვეყნებია, ევროკავშირი მიიჩნევს რომ შესაბამის დისკუსიებში აუცილებელია ,,მეზობლების მეზობლების“ ჩართვა, მაგალითად დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის ხელისუფლებისა ,, რაბათის პროცესის“ ჩარჩოებში. ნოემბერში დაიწყო ასევე რეგიონული დიალოგის პროცესი აღმოსავლეთ აფრიკის მიგრაციული გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნებთან (,,ხატუმის პროცესი“). ევროკავშირის სამხრეთის პარტნიორი ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს ფართომასშტაბიანი, მდგრადი სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს. ლიბია განსაკუთრებით ზარალდება თავშესაფარის მაძიებელთა ნაკადების, არალეგალური მიგრაციის და ადამიანთა ტრეფიკინგის შედეგად, განსაკურთებით ქვეყანაში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ და გაუარესებული უსაფრთხოების გამო.

რეგიონისთვის გამიზნული ევროკავშირის დახმარება მიმართული იყო პარტნიორების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის განმტკიცებაზე, რომელიც შეებრძოლებოდა კონტრაბანდასა და ტრეფიკინგს საზღვრის კონტროლის შესაძლებლობების გაზრდის საშუალებით. ასეთმა დახმარებამ პოზიტიკური შედეგები მოიტანა მაროკოში, ალჟირში, ტუნისსა და ეგვიპტეში. ევროკავშირის დახმარება გაეწია იორდანიას,სადაც გამოკვლეული იყო მიგრაცია და ლტოლვილთა საცხოვრებელი პირობები. მსგავსი კვლევების ჩატარებაა გათვალისწინებული რეგიონის სხვა ქვეყნებშიც.

2.5. ფინანსური თანამშრომლობა

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი სამეზობლოში პოლიტიკური პრიორიტეტების მხარდაჭერის ძირითადი საშუალებაა. მისი ბიუჯეტი 2014–2020 წლებისთვის 15.4 მილიარდ ევროს შეადგენს. ინსტრუმენტი ქვეყნებს სთავაზობს დახმარების გრძელვადიან პაკეტს თითოეულ ქვეყანასთან შეთანხმებული პრიორიტეტული რეფორმების მხარდასაჭერად. იმ ქვეყნებში, სადაც სიღრმისეული დემოკრატიული რეფორმები ხორციელდება, ხდება დამატებითი თანხების გამოყოფა ინსტრუმენტის ღირებულების 10%–მდე. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან ხდება ასევე რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ინიციატივების მხარდაჭერა. ევროკავშირის დაფინანსების საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებასთან კომბინირება სულ უფრო მეტად გამოიყენება სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში.

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის საშუალებით ხდება პროექტების მხარდაჭერა ენერგეტიკის და სატრანსპორტო კავშირების დამყარების, კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვის და მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროებში. **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მექანიზმი** შემუშავდა იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ბიზნესის ადაპტაციასა და რეორიენტაციას, რომ მოხდეს შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლის მიღება. ამ მექანიზმის საშუალებით ევროკავშირი ცდილობს 2015–2017 წლების განმავლობაში 150 მლნ ევროს ოდენობის გრანტების გაცემას სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში იმისთვის, რომ მოხდეს სამი ქვეყნისთვის (მაგ. საქართველოსთვის, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინისთვის) 1,5 მილიარდი ევროს ინვესტიციების მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსებაც საგრძნობლად გაიზარდა. ევროკავშირი განაგრძობდა სამოქალაქოსაზოგადოების მხარდაჭერას **სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის** საშუალებით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე იმისთვის, რომ გაძლიერდეს და განმტკიცდეს სამოქალაქო საზოგადოების როლი რეფორმების და დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში.

სამეზობლოში დღეს არსებული დინამიური სიტუაცია ითხოვს დაგეგმვისა და განხორციელების მოქნილ სისტემას. ევროკავშირმა სრულად გამოიყენა ის მოქნილობა, რომელიც მას ახასიათებს. ევროკავშირმა უპრეცედენტო ტემპში მოახდინა იმ ღონისძიებებზე შეთანხმება, რომელიც უკრაინის კრიზისის დაძლევაზე იყო მიმართული. მოხდა ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის, მაკროფინანსური დახმარების და უკრაინის დახმარების ჯგუფის ტექნიკური დახმარების კომბინირება. 2014 წლის დეკემბერში შეიქმნა ევროკავშირის **რეგიონული სატრასტო ფონდი** სირიის კრიზისისთვის ადექვატური და მტკიცე დახმარების გაწევის მიზნით რეგიონის მასშტაბით. სატრასტო ფონდი ძირითადად ღევანდელ პრიორიტეტებს დაეფუძნება და მომავალში შესაძლებელია მისი ადაპტირება რეკონსტრუქციის ამოცანების შესრულებაზე პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში.

თუმცა, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი ყველანაირი საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, განსაკუთრებით როდესაც კრიზისზე რეაგირება მოკლე ვადაში მნიშვნელოვანი დამატებითი დაფინანსების გამოყოფას მოითხოვს. ამიტომ, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან გამოყოფილ თანხას ემატება სხვა ინსტრუმენტები, როგორიცაა ,,სტაბილურობის და მშვიდობის მხარდაჭერის ინსტრუმენტი," ევროკავშიის ჰუმანიტარული დახმარება და ,,ევროკავშირის ადამიანის უფლებების და დემოკრატიის ინსტრუმენტი." შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი თანხების გამოყოფა ამ და სხვა ინსტრუმენტებიდან, რეგიონში განვითარებული სიტუაციიდან გამომდინარე. უკრაინასა და სირიაში განვითარებულ სიტუაციაზე პასუხი ამის კარგი მაგალითია.

2.6. ორმხრივი თანამშრომლობის მიღმა არსებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

სამეზობლოში არსებული არაერთი უსაფრთხოების, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს გამოწვევები უშუალოდაა დაკავშირებული დაბალი ხარისხის რეგიონულ ინტეგრაციასთან. რთულ და ყველასთვის საერთო გამოწვევებთან – ტერორიზმი, არალეგალური მიგრაცია, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტრანსსასაზღრო დაბინძურება – გამკლავება მოითხოვს კოორდინირებულ რეაგირებას. რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დღის წესრიგის უპირველესი ამოცანაა. ეს შეეხება, სამეზობლოს როგორც აღმოსავლეთ რეგიონს, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობას გულისხმობს, ისე სამხრეთს, რომელიც ერთიანდება როგორც ,,დემოკრატიისა და ერთიანი კეთილდღეობის პარტნიორობაში," ისე ხმელთაშუაზღვის კავშირში (UfM).

ზოგადი პოლიტიკური კლიმატი სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში კვლავაც დაძაბული იყო და აფერხებდა რეგიონულ თანამშრომლობას. სამხრეთის პარტნიორ ქვეყნებში გრძელდებოდა ორმხრივი ურთიერთობები ევროკავშირთან. ეს რეგიონი რჩებოდა ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებულ რეგიონად მთელს მსოფლიოში. მის ნაწილში გრძელდებოდა მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი შეიარაღებული კონფლიქტების პარალელურად და მნიშვნელოვნად გაუარესდა სიტუაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით. რეფორმების განხორციელება და რეგიონული ინტეგრაცია ასეთ პირობებში მეტად გართულებული იყო.

სირიის კონფლიქტის პოტენციური გავრცელების და მასთან დაკავშირებული უცხოელი მებრძოლების ფენომენის დასაძლევად, ევროკავშირმა გაზარდა თანამშრომლობა სამხრეთ პარტნიორებთან კონტრტერორიზმის წინააღმდეგ. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან დაფინანსებული კონტრტერორიზმის პროექტი არაბ პარტნიორებთან ერთად 2014 წლის მარტში დაიწყო. მას ახორციელებდა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი და გაეროს კონტრტერორიზმის კომიტეტის აღმასრულებელი სამდივნო, ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების ინსტიტუტებთან ერთად.

ევროკავშირის და სამხრეთის პარტნიორი ქვეყნები კვლავ საუბრობდნენ უფრო მჭიდრო ინტეგრირების აუცილებლობაზე. პარტნიორები ძალზე მონდომებულნი იყვნენ ევროკავშირთან რეგიონული ღონისძიებების განხორციელებაში, განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირისა და არაბული ქვეყნების ლიგის საშუალებით. მაღრების ქვეყნებთან ევროკავშირის შემდგომი თანამშრომლობა და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან თანამშროლობა გრძელდებოდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მხარეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების ჩართვის საქმეში ასოცირების–ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ჩათვლით– შეთანხმების გზით, რაც გულისხმობდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში რეფორმების ფართომასშტაბიანი დღის წესრიგის განხორციელებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხი თემატური

პლატფორმის ფარგლებში გაგრძელდა შეხვედრები წელიწადში ორჯერ, რომლის დროსაც ხდებოდა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პოლიტიკის სფეროში შემდგომი ნაბიჯების განხილვა და მათზე მსჯელობა. მოსალოდნელია, რომ 2015 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი მიმოიხილავს შეთანხმებული ამოცანების შესრულებასა და მიღწეულ წინსვლას.

2014 წელს, უკრაინის კრიზისის ფონზე ევროკავშირმა წამოიწყო უპრეცედენტო დახმარების პროგრამა უკრაინაში ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაციის, გარდაქმნის მხარდაჭერის, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების და ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერის მიზნით. რამდენიმე მიმართულებით დახმარება გაეზარდათ მოლდოვის რესპუბლიკასა და საქართველოს იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომელთა გადალახვა ამ ქვეყნებს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილების გამო მოუწევთ.

3. დასკვნა

პრეზიდენტმა იუნკერმა ევროპის სამეზობლოს განხილვა და გადახალისება თავისი პრეზიდენტობის პირველი წლის პრიორიტეტად განმოაცხადა.

2015 წლის 4 მარტს მიღებული **ერთიანი საკონსულტაციო დოკუმენტი** სახელწოდებით ,,ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისკენ სვლა“ იმ ძირითად საკითხებს გამოყოფს, რომელიც ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების წინაშე დგას. ამ დოკუმენტის განსახილველად მოწვეულნი არიან დაინტერესებული მხარეები, რომელთაც საშუალება ექნებათ, წარმართონ კონსულტაციები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ. კონსულტაციების შედეგები 2015 წლის შემოდგომაზე გამოცხადდება და მიღებული იქნება ერთობლივი კომუნიკაცია განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ.